ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

I ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი ორი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება. ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები თან ახლავს შესაბამის დავალებებს. გაითვალისწინეთ, ტესტის II ნაწილში მოცემულია ორი ტექსტი. უნდა აირჩიოთ ერთ-ერთი მათგანი (ტექსტი I ან ტექსტი II) და დავალებები მხოლოდ ამ ტექსტის მიხედვით შეასრულოთ.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ტექსტის რედაქტირება

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. გაასწორეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტიკური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

(16 ქულა) 1.

ფეხბურთი სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობაა მსოფლიოში. ეს თამაში XIX საუკუნეში შეიქმნა ინგლისში. ინგლისელებმა შემოიტანეს ის საქართველოშიც. ფოთისა და ბათუმის მოსახლეობა ხშირად ხედავდნენ თუ როგორ თამაშობდნენ „ფუტბოლს“ ბრიტანულ გემების მეზღვაურები. სპორტის ეს სახეობა სულ მალე ქართველებმაც შეიყვარეს. ფეხბურთი ქართულ პრესაში პირველათ 1890 წელს არის ნახსენები.

საქართველოს ზღვის პირა ქალაქების შემდეგ ფეხბურთი თბილისშიც შემოვიდა. ამავე პერიოდში ინგლისურიდან თამაშის წესები ითარგმნა. 1906 წელს ჩამოყალიბდა ფეხბურთის მოყვარულთა წრე რომელსაც ვარჯიშისათვის სათანადო გარემო ჭირდებოდა. გადაწყდა რომ საფეხბურთო მოედანისათვის შესაფერისი ადგილი დიდუბის იპოდრომზე გამოეყოთ. პირველი ოფიციალური შეხვედრა 1911 წელს გაიმართა. ერთი წლის შემდეგ ჩატარდა ქალაქის ჩემპიონატი რომელშიც გამარჯვება მოიხვეჭა ვაჟთა II გიმნაზიის გუნდმა. 1923 წელს ერთმანეთს უკვე 27 გუნდი ეჯიბრებოდა. 1925 წელს შეიქმნა საფეხბურთო გუნდი „დინამო“ რის სახელთანაც არის დაკავშირებული ქართული ფეხბურთის არაერთი მნიშვნელოვანი წარმატება.

1990 წლის 15 თებერვალს დაარსდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია რომელმაც იმავე წელს უხელმძღვანელა საქართველოს პირველ დამოუკიდებელ ჩემპიონატსა და თასის გათამაშებას.

II. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი ტექსტიდან ერთ-ერთი (ტექსტი I ან ტექსტი II) და დავალებები მხოლოდ ამ ტექსტის მიხედვით შეასრულეთ!

ტექსტი I

ყურადღებით წაიკითხეთ ვაჟა-ფშაველას ლექსი „ჩემი ვედრება“:

ღმერთო, მიიღე ვედრება,
ეს ჩემი სათხოვარია:
არ დამეკარგოს გულიდამ
მე შენი სახსოვარია!
გულს ნუ გამიტეხ ტანჯვაში,
მამყოფე შეუდრეკლადა,
ვფხიზლობდე, მუდამ მზად ვიყო
დაჩაგრულების მცველადა.
ბალახი ვიყო სათიბი,
არა მწადიან ცელობა,
ცხვრადვე მამყოფე ისევა,
ოღონდ ამშორდეს მგელობა,
არ წამიხდინო, მეუფევ,
ეს ჩემი წმინდა ხელობა!
მაშრომე საკეთილოდა,
თუნდ არ მოვიმკო ნაყოფი,

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

შვილთ საგმოდ არ გამიხადო
ჩემი მუდმივი სამყოფი.
გულს ნუ გამიქრობ ლამპარსა,
მნათობს ტრფობისა შეშითა,
ნუ მავლევ ქვეყანაზედა
გაცივებულის ლეშითა, –
თვალებში მადლდაკარგულსა,
შუბლზე გაკრულის მეშითა.
ნუ დაუკარგავ ჩემს სატრფოს
მადლს, გულზე ცეცხლის მდებელსა,
ნუ დაუძვირებ ოცნებას,
შენს ხმას სხივგამომღებელსა, –
სიცოცხლედ უღირს ბეჩავსა,
ეძახის თავის მხლებელსა.
გულს დარდი გამიდიადე
იმ სანეტარო საგანზე,
დაწერე ფიქრი ღრმა, მწვავე
ჩემის გონების საბანზე!..
გონებას ფიქრი სტანჯავდეს,

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

გულს ცეცხლი სწვავდეს ძლიერი,
მშიოდ-მწყუროდეს კეთილი,
ვერ გავძღე, მოვკვდე მშიერი...
ნუ დამასვენებ ნურადროს,
მამყოფე შეძრწუნებული,
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
როცა ვარ შეწუხებული;
როცა გულს ცეცხლი მედება,
გონება მსჯელობს საღადა,
მაშინ ვარ თავისუფალი,
თავს მაშინა ვგრძნობ ლაღადა.
მფარავდეს შენი მარჯვენა,
კალთა სამოსლის შენისა,
სანამ არ მოვა დრო-ჟამი
სულ ბოლო ამოქშენისა.
სული შენ, ხორცი – მიწასა,
აღარა ვგლოვობ ამასა,
თევზი – წყალს, ცასა – ვარსკვლავი,
შვილი – დედას და მამასა.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 2. ლექსის დასაწყისის მიხედვით, რა სურს ლირიკულ გმირს?

ა) საყვარელ ადამიანებს გული არ გაუტეხოს.
ბ) ტანჯვისათვის თავის არიდება შეძლოს.
გ) უფლის გზიდან არასდროს გადაუხვიოს.
დ) ჩაგრულთა წინააღმდეგ ბრძოლა შეწყვიტოს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 3. რას ამბობს ავტორი ცელისა და ბალახის, მგლისა და ცხვრის შეპირისპირებით?

ა) მორჩილების გამოცხადებას ამბოხი სჯობს.
ბ) მოძალადეობას მსხვერპლად ყოფნა სჯობს.
გ) სუსტის ქომაგობას ძლიერთან ერთობა სჯობს.
დ) ჭკვიანთან კამათს სულელთან დაზავება სჯობს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 4. რა არის ლირიკული გმირისათვის „წმინდა ხელობა“?

ა) ადამიანთა თანაგრძნობით აღსავსე შემოქმედებითი საქმიანობა.
ბ) ურწმუნო ადამიანების იმქვეყნიური ცხოვრებისათვის მომზადება.
გ) ქრისტიანობისათვის წამებულთა სადიდებელი ჰიმნების შექმნა.
დ) ჩაგრულთა დასახმარებლად მუხლჩაუხრელი ფიზიკური შრომა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 5. ყველაზე მეტად რა აშინებს ლექსის ლირიკულ გმირს?

ა) ამქვეყნიური ცხოვრება უნაყოფო საქმიანობაში რომ გალიოს.
ბ) სიკვდილის შემდეგ დამსახურებული აღიარება რომ არ ეღირსოს.
გ) სიკვდილის შემდეგ შთამომავლობამ აუგად რომ მოიხსენიოს.
დ) სიცოცხლეში ადამიანთა პატივისცემა რომ ვერ დაიმსახუროს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 6. რა მხატვრული საშუალებაა:

„გულს ნუ გამიქრობ ლამპარსა,
მნათობს ტრფობისა შეშითა...“?

ა) გაპიროვნება.
ბ) მეტაფორა.
გ) შედარება.
დ) ჰიპერბოლა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 7. რომელი ფრაზა ეხმიანება სტრიქონებს:

„ნუ მავლევ ქვეყანაზედა
გაცივებულის ლეშითა...“?

ა) „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს...“

ბ) „რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს, სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ...“

გ) „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!“

დ) „შენი ჭირიმე სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა!“

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 8. ლირიკული გმირის რა სურვილი ჩანს სიტყვებში:

„გონებას ფიქრი სტანჯავდეს,
გულს ცეცხლი სწვავდეს ძლიერი...“?

ა) არ დაკარგოს აზროვნებისა და განცდის უნარი.
ბ) არ დაკარგოს მოთმინებისა და მიტევების უნარი.
გ) არ დაკარგოს მოქმედებისა და განსჯის უნარი.
დ) არ დაკარგოს სიყვარულისა და ერთგულების უნარი.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 9. ავტორის აზრით, როდის გრძნობს ადამიანი თავს ლაღად?

ა) როცა თავისუფალია.
ბ) როცა შეყვარებულია.
გ) როცა შეძლებულია.
დ) როცა წარმატებულია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 10. ჩამოთვლილთაგან რომელ მონაკვეთში *<u>არ არის</u>* მხატვრული საშუალება?

ა) „დაწერე ფიქრი ღრმა, მწვავე
ჩემის გონების საბანზე!..“
ბ) „ვფხიზლობდე, მუდამ მზად ვიყო
დაჩაგრულების მცველადა“.
გ) „მშიოდ-მწყუროდეს კეთილი,
ვერ გავძღე, მოვკვდე მშიერი...“
დ) „როცა გულს ცეცხლი მედება,
გონება მსჯელობს საღადა...“

[<u>დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე</u>]
[<u>დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე</u>]
[<u>დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე</u>]

(1) 11. რა უპირისპირდება ერთმანეთს ამ სტრიქონების მიხედვით:

„სული შენ, ხორცი – მიწასა,
აღარა ვგლოვობ ამასა...“?

ა) კეთილი და ბოროტი.
ბ) მარადიული და წარმავალი.
გ) ნათელი და ბნელი.
დ) სიხარული და მწუხარება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. პიროვნული თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა ხშირად რთული და წინააღმდეგობებით აღსავსეა.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.

ტექსტი II

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი გურამ რჩეულიშვილის მოთხრობიდან „ასვლა“:

ბედზე ყინულს ვარსკვლავები ანათებდნენ... მარტოდ დარჩენილი ვაჟა უსიამო ფიქრებმა შეიპყრო. მოყინულ ხელზე იკბინა. ვერაფერი იგრძნო. დაიწყო დაზელა. როგორც იყო აამოძრავა. მერე თოკს მოჰკიდა ხელი და აიწია, მაგრამ უშედეგოდ. მკლავები არ ემორჩილებოდნენ. სიბნელეში კლდეს ძლივს არჩევდა... ხელით მოსინჯა მოსაჭიდი და ერთი ნაბიჯით აიწია. ყინულამდე ორიოდე მეტრი მანძილი რჩებოდა. შეისვენა, ზევიდან ჯემალის ძახილი მოესმა. ვაჟამ ასვლას დაუჩქარა და ფეხი გაუფრთხილებლად გადადგა. სიბნელეში ხელი ვერაფერს მოჰკიდა და ჩამოცურდა. მერე უფსკრულში ჩაეკიდა. ზევიდან კვლავ გაისმა ჯემალის ძახილი. ვაჟამ ამაოდ სცადა კუნთებზე აწევა, გაყინული ხელები თოკს ვერც კი ჩასჭიდა. ახლაღა იგრძნო ნამდვილი შიში. ასე დარჩენილს გაყინვით სიკვდილი ელოდა. როგორ არ უნდოდა ეს მომხდარიყო. მოაგონდა, რომ სულ ორიოდე თვის წინ სიკვდილს ნატრობდა, აქ კი, როცა შეუძლია თვალის დახამხამებაში ოდნავ გამოხსნას თოკი, მცირე ბიძგი და მორჩა – აქ ყველა კიდურით, მთელი სულით შეებრძოლა სიკვდილს. ნანობდა, მართალი გულით ლანძღავდა თავს მთაში წამოსვლისათვის. პირობას აძლევდა ყველას, იწყევლებოდა გულში, რომ ღმერთს (თუ იყო ასეთი!) ან რაიმე განგებას დაესაჯა უარესად, თუ კიდევ წამოვიდოდა. ან როგორ იფიქრა მაშინ სიკვდილზე, როცა სიცოცხლე ასე ტკბილი ყოფილა.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ვაჟა, კლდეზე ჩამოკიდებული, დონღუზ-ორუნის ჩრდილო კედელზე იღუპებოდა. უკვე მკაფიოდ შეიგრძნო, რაღაც უჩვეულო ხდებოდა მის ცხოვრებაში. ხელები ისტერიულად ჩაიწყო პირში და კბენდა, მერე „შტორმოვკას“[1] უხახუნა, ამდენმა ღელვამ და მოძრაობამ გაათბო. აშკარად გრძნობდა ნამდვილ შიშს. მოეჭიდა კაპრონს და ორჯერ აიწია კუნთებზე. ისევ მოეშვა. კბილები ჩაავლო თოკს, ხოლო მარჯვენა ფეხის წვერით ოდნავ მიეყუდა კედელს. ორიოდე წუთი ასე ეკიდა. ვერაფერსა გრძნობდა, მერე რატომღაც გაახსენდა, რომ, როცა კბილი სტკიოდა პატარაობისას, დედა ლოყაზე ლოყას დაადებდა ხოლმე და ურჩენდა. თვალებზე ცრემლი მოადგა, თავს კვლავ პირობა მისცა, მთაში აღარასოდეს წამოვალო. უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ყინულზე გავიდა... იქ ხელი გაენასკვა. თვითონ არ ახსოვს, ჯემალამდე როგორ მივიდა.

– ბიჭო, ორი საათია, – უთხრა ჯემალმა.

– ორი?

– ჰო!

მერე ჯემალმა შავი დღისათვის შემონახული ორცხობილის ნატეხი გაუწოდა. ვაჟამ ჩაიდო პირში, მაგრამ ვერ დაღეჭა.

დატოვებულ თოკს უხმოდ აუყვნენ ღრმა თოვლში... ყინვა უჭერდა და უჭერდა. ცოტა ხნის შემდეგ ქარიც ამოვარდა. იმ ღამეს კარვებში არვის სძინებია.

მეორე დღეს თორმეტ საათზე თავდებოდა ალპიური ბანაკის „ნაკრას“ მიერ მოცემული საკონტროლო ვადა. ამ ვადის გადამცილებელს მწვერვალზე ასვლა არ ეთვლება და შეიძლება სპორტული წოდებაც ჩამოართვან. უთენია ჯემალი და ვაჟა დაეშვნენ ბანაკისაკენ.

ნისლში გახვეულ მწვერვალზე ორი ნაბიჯის იქით არაფერი ჩანდა. დიდი სიფრთხილით მიიწევდნენ წინ. ნისლი უფრო გახშირდა. მოძრაობა შეუძლებელი ხდებოდა. ყინვამ დილით იმატა. ბიჭები გაჩერდნენ, მერე ნისლში ოდნავ შეიპარა სხივი, დაუბერა სამხრეთის ქარმა და თოვლის ფიფქებთან ერთად გარეკა ნისლი. დაიწყო ციცაბო ფერდობი. წინ ვაჟა წავიდა... წრიაპები ზევით დატოვეს, ფეხი უსხლტებოდათ. ახლა უკვე გაყინულ თოვლზე მიდიოდნენ...

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

[1] **შტორმოვკა** – წყალგაუმტარი ქურთუკი.

ერთი საათის სიარულის შემდეგ გზის რთული ნაწილი უკან მოიტოვეს.

ამოვიდა მზე. ხეობაში ჩამოცხა. გათოშილი სხეულის მოყინული ადგილები ასტკივდათ. ათი საათი გახდა. თითქმის მირბოდნენ ორივენი. ვაჟას ნაპრალში ნატკენი ფეხი ისევ ასტკივდა. გაოფლიანდნენ... ძლივს სუნთქავდნენ. ვაჟას ფეხი აეწვა... გზა ტყეში შევიდა. ქინქლები ოფლიან შუბლზე ეკრობოდნენ, კისერში ტყის ქერცლი უცვივოდათ. ვაჟა დაიმანჭა, ფეხი უფრო ასტკივდა. გულში ბრაზობდა, რომ ამდენი სიძნელის მერე წესიერად, ნელი ნაბიჯით მისვლაც არ შეეძლო ბანაკში. სიცხემ იმატა. ოფლში გაიღვარნენ. საშინლად მოსწყურდათ. ჯემალი წყაროსაკენ წავიდა, მერე საათს დახედა და ნაბიჯის შეუნელებლად წინ გასწია. უკან ვაჟა მიჰყვებოდა. საშინლად მოსწყინდა ყველაფერი და ძალიან მოუნდა ხახვი, მესამე დღე იყო, რაც არ ეჭამათ. სიჩუმე ვეღარ აიტანა.

– ჯემალ, ბიჭო...

– რაო?

– რას ინატრებდი ეხლა?

– ნიორს და პურს, შენ?

– მე ხახვი მინდა, გალეტთან ერთად.

– ჰო, კარგი იქნებოდა.

– რამდენი დაგვრჩა დრო?

– თხუთმეტი წუთი.

ბიჭებმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბეს. ფეხის ტკივილს ვეღარა გრძნობდა ვაჟა. მხოლოდ ხუთი წუთით დააგვიანდათ ბანაკში მისვლა. აუარებელი ხალხი გამოეგებათ გზაზე. დიდი სიხარული იყო. ვაჟამ ანგარიში ჩააბარა ბანაკის უფროსს, მერე ამხანაგებმა ორივე გაიტაცეს. ვაჟა სიამოვნებით წამოწვა და ფეხები საწოლის თავზე შეაწყო. არ ეძინებოდა. ექიმმა სხვა გემრიელ საჭმელთან ერთად ხახვი და პურიც მოუტანა. ჩქარა კარავი დაცარიელდა, მხოლოდ ერთი მისი მეგობარი დარჩა, რომელმაც მაშინვე უთხრა:

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

– ვაჟა, უნდა გაგახარო.
– შენ იცი... – ვაჟას გაეცინა – რითი?
– ტრავერსი[2] დაამტკიცეს, ხვალ ზევით გავდივართ.
ვაჟა წამოჯდა საწოლზე, მერე გადაკოცნა ძმაკაცი.
– ჩქარა, ბიჭო, მალამო, ფეხი მოვირჩინო, თუმცა დღე-ნახევარში მაინც მომირჩება.
– რო არ მოგირჩეს?
– რას ამბობ?
ვაჟამ ხახვი ჩაკბიჩა, მერე პური დააყოლა და მჟავე წყალი სიამოვნებით მოწრუპა.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

[2] **ტრავერსი** – ალპინისტების გადასვლა მარშრუტით, რომელიც გადის მთაგრეხილის თხემზე და მოიცავს რამდენიმე მწვერვალს.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 2. რა არის ვაჟას უსიამოვნო ფიქრების მიზეზი?

ა) კლდეზე ხელის მოსაკიდებელს ვერ პოულობს.
ბ) მწვერვალზე თოკის გარეშე არის დარჩენილი.
გ) ძალაგამოცლილი სხეული აღარ ემორჩილება.
დ) ყინულზე საფეხურების ამოჭრა შეუძლებელია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 3. რა დაეხმარა ვაჟას უკანასკნელი ძალების მოკრებაში?

ა) მეგობრის წინაშე პასუხისმგებლობა.
ბ) დედისა და ბავშვობის გახსენება.
გ) მწვერვალის დაპყრობის სურვილი.
დ) ოჯახისა და საქმის სიყვარული.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 4. რაზე მიანიშნებს მკითხველს ფრაზა: *„ორიოდე თვის წინ სიკვდილს ნატრობდა“*?

ა) პერსონაჟს იოლი ცხოვრება არა აქვს.

ბ) პერსონაჟი ხიფათის მაძიებელია.

გ) პერსონაჟი დაუფიქრებლად მოქმედებს.

დ) პერსონაჟს მომავლის იმედი არა აქვს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 5. განსაცდელში მყოფმა ვაჟამ რა პირობა მისცა საკუთარ თავს?

ა) გასაჭირში ყოფნისას დახმარებას ითხოვდა.

ბ) როგორმე სიკვდილის შიშს დათრგუნავდა.

გ) მწვერვალებზე ასვლას თავს დაანებებდა.

დ) წერაყინის გარეშე მთაში აღარ წავიდოდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 6. რატომ ჩქარობდნენ ვაჟა და ჯემალი მთამსვლელთა ბანაკში დაბრუნებას?

ა) თუ ბანაკში დროზე არ დაბრუნდებოდნენ, შიმშილის გრძნობას ვერ გაუძლებდნენ.

ბ) თუ დათქმულ დროს გადააცილებდნენ, მწვერვალზე ასვლა არ ჩაეთვლებოდათ.

გ) თუ ბანაკში დროზე მივიდოდნენ, სხვა მწვერვალზე ასვლა აღარ დასჭირდებოდათ.

დ) თუ საშიშ ბილიკებს დღისით არ გაივლიდნენ, ღამით გზას ვეღარ გაიკვლევდნენ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 7. რას უპირისპირებს ერთმანეთს ავტორი დრამატული სურათის კიდევ უფრო გასამძაფრებლად?

ა) ღამის საშინელ ყინვასა და დღის პაპანაქება სიცხეს.
ბ) სიკვდილის სურვილსა და ბავშვობის მონატრებას.
გ) გაუსაძლის შიმშილსა და ტკბილი ნამცხვრის გემოს.
დ) ძლიერ ფიზიკურ ტკივილსა და სულიერ მხნეობას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) **8. რის თქმა სურს ავტორს სიტყვებით:** *„საშინლად მოსწყურდათ. ჯემალი წყაროსაკენ წავიდა, მერე საათს დახედა და ნაბიჯის შეუნელებლად წინ გასწია. უკან ვაჟა მიჰყვებოდა“*?

ა) ვალდებულების გრძნობა წყურვილის მოკვლაზე მნიშვნელოვანია.
ბ) მთაში წინამძღოლის ნების შესაბამისად მოქმედება აუცილებელია.
გ) მოთმენის უნარი ალპინისტის გამძლეობის გამოცდის საშუალებაა.
დ) ხანგრძლივი უჭმელობის დროს ცივი წყლის დალევა სახიფათოა.

[დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე]

(1) 9. რა ავიწყებს ფეხის ტკივილს ბანაკთან მიახლოებულ ვაჟას?

ა) მიზნის მიღწევის სურვილი.
ბ) მეგობრებთან შეხვედრის სიხარული.
გ) მოსალოდნელი წარუმატებლობის შიში.
დ) საშინელი დაღლილობის განცდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 10. ვაჟას რა შინაგანი ბუნება ჩანს ბოლო დიალოგში?

ა) მიღებულ გადაწყვეტილებებს ადვილად არასდროს შეცვლის.
ბ) საყვარელი საქმის გამო ყოველგვარ დაბრკოლებას შეეჭიდება.
გ) საკუთარ პრობლემებს მეგობრებს თავს არასდროს მოახვევს.
დ) სხვებისათვის მხარდასაჭერად დათმობებზე წასვლას შეძლებს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 11. რა ქმნის მწერლის ინდივიდუალურ სტილს?

ა) მონოლოგი და რთული სინტაქსური კონსტრუქციები.
ბ) მარტივი წინადადებები და არასრული დიალოგები.
გ) პათეტიკური სტილი და რიტორიკული შეკითხვები.
დ) პროფესიული ტერმინები და დიალექტური ლექსიკა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. მხოლოდ საქმის სიყვარულით შეიძლება ადამიანმა წინააღმდეგობები გადალახოს.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.